პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, და თბილისის კომიტეტისა
საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 9 ოქტომბერი, 1943 წ. № 211 (6836). ფასი 20 კაპ.

გავაუმჯობესოთ მუშაობა ერთეულ კომუნისტებთან

ლენინ-სტალინის პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს თითოეული კომუნისტის აქტიურად ჩაბმას ორგანიზაციულ-პარტიულ მუშაობაში, მის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით სოფლად, პარტიის წევრთა გარკვეულ ნაწილს შეადგენენ ერთეული კომუნისტები, რომელნიც მუშაობენ პატარა საწარმოებში, არტელებში, კოლმეურნეობებში, სასოფლო საბჭოებსა და სხვა დაწესებულებებში.

ერთეული კომუნისტებისადმი უშუალო ხელმძღვანელობას პარტიის რაიკომი ან ქალაქკომი ანხორციელებს. ისინი იწვევენ ერთეული კომუნისტების თათბირებს, აძლევენ მათ პარტიულ დავალებას, ეხმარებიან იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებასა და საწარმოო საქმიანობის უკეთ დაყენებაში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომი ერთეულ კომუნისტებთან მუშაობას სათანადო ყურადღებას აქცევს. რაიონში ამჟამად 9 ერთეული კომუნისტია, ყველა მათგანს აქვს პარტიული დავალება, ზოგი მათგანი აგიტატორად მუშაობს. ისინი ეწყრებიან ლექცია-კონსულტაციებს ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ შესწავლისათვის, აქტიურად მონაწილეობენ პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახული ყველა ღონისძიების გატარებაში. კურორტოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს პარტიის წევრი ამხ. ი. როსებაშვილი. იგი ყოველდღიურად ზრუნავს თავის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, ესწრება ლექცია-მოხსენებებს და ნაყოფიერად ეხმარება ადგილკომს, ნებაყოფლობითს ორგანიზაციებს, კედლის გაზეთის გამოცემის საქმეს. ყველა მასობრივი ღონისძიებანი აქ კარგად ტარდება.

მაგრამ ერთეულ კომუნისტებთან მუშაობა სოფლად ზოგიერთ რაიონში დამაკმაყოფილებელი არ არის. დუშეთის რაიონში 110 ერთეული კომუნისტია. აქედან პარტიული დავალება მიცემული აქვს მხოლოდ 15-ს. დავალებათა შესრულების შემოწმებასაც არ ექცევა საჭირო ყურადღება. რაიონში არიან ერთეული კომუნისტები, რომელთაც შეუძლიათ აგიტატორობა, გაზეთის ხმამაღალი კითხვა და სხვ., მაგრამ ისინი ამ საქმეში გამოყენებული არ არიან. მართალია, ტარდება ზონალური თათბირები ერთეულ კომუნისტებთან აქტუალურ პოლიტიკურ და სამხედრო-სამეურნეო საკითხებზე, მაგრამ ამ თათბირებზე უზრუნველყოფილი არ არის ყველას დასწრება. ერთეული კომუნისტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მთიულეთის ზონაში მუშაობს, აქტიურად არ არის ჩაბმული პარტიულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. რაიკომი მათთან სათანადოთ დაკავშირებული არ არის.

ერთეული კომუნისტისათვის განსაკუთრებით საჭიროა მკაფიოდ ერკვეოდეს მიმდინარე მომენტის ყველა საკითხში. ვინაიდან მას, როგორც პარტიის წარმომადგენელს, ადგილზე მიმართავენ ახსნა-განმარტებისათვის. ერთეულ კომუნისტს ხშირად დამოუკიდებლად უხდება გადაწყვეტილების მიღება პარტიისა და მთავრობის ამა თუ იმ ღონისძიებათა გატარების დროს, მაშინ როდესაც წარმოებაში ან კოლმეურნეობაში, სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაცია არსებობს, ასეთი გადაწყვეტილების მიღება საკითხის კოლექტიური განხილვის შემდეგ ხდება. ამიტომ ერთეული კომუნისტების იდეურად შეიარაღება, მათს პოლიტიკურ განვითარებას პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ. მეტი წილი ერთეული კომუნისტები მთიულეთში (დუშეთის რაიონი) მუშაობენ ხელმძღვანელ საბჭოებზე—სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ და სხვ., ზოგი მათგანის პოლიტიკურ-კულტურული მომზადების დონე დაბალია, თავის-თავზე სუსტად მუშაობენ, ხოლო პარტიის რაიონული კომიტეტი მათ საჭირო დახმარებას ვერ უწევს პოლიტიკური მოხსენებებით, კონსულტაციებით, ლიტერატურით.

დუშეთის რაიონი მეცხოველეობის რაიონია. რაიონიდან მიღებული ცნობებიდან ვტყობილობთ, რომ მთიან ზონაში წელს არ ჩატარებულა საუბრები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდება. ეს მაშინ, როდესაც მთიულეთის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მეცხოველეობის 1943 წ. სახელმწიფო გეგმების შესრულებაში ადგილი აქვს ჩამორჩენას. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების უმრავლესობა კი აქ ერთეული კომუნისტებია.

აბაშის რაიონში ერთეული კომუნისტების რიცხვი დიდი არ არის. მაგრამ მათთან რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. 12 კომუნისტიდან 5 ამხანაგს არა აქვს პარტიული დავალება. პარტიული დავალების შესრულების შემოწმება ზოგ შემთხვევაში არ სწარმოებს. რაიკომი იმვიათად იწვევს ერთეული კომუნისტების თათბირებს, სისტემატურად არ ატარებს მათთვის მოხსენებებს და საუბრებს პოლიტიკურ თემებზე. ზოგიერთ კომუნისტი რაიკომში პარტსაწევროს გადახდისათვის თუ მივა და ისიც 2-3 თვეში ერთხელ.

პარტიის რაიკომებისა და ქალაქკომების ამოცანაა გადაჭრით გაუმჯობესონ მუშაობა ერთეულ კომუნისტებთან, ჩაბან ისინი ყოველდღიურ პოლიტიკურ-ორგანიზაციულ მუშაობაში. ყოველ ერთეულ კომუნისტს უნდა ჰქონდეს შესაფერისი პარტიული დავალება, რომლის შესრულება ეხმარება მას პოლიტიკურ გამოწრთობაში და ამგვარად უზრუნველჰყოფს მის აქტიურ მონაწილეობას პარტიულ ცხოვრებაში.

პარტრაიკომებისა და ქალაქკომების ამოცანაა გაძლიერონ ზრუნვა ერთეული კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, მოაწყონ მათთვის მოხსენებები, კონსულტაციები, საუბრები აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე, ყოველმხრივ დაეხმარონ მათ ამხანაგ სტალინის ისტორიული მნიშვნელობის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის საქმეში.

ერთეულ კომუნისტებთან იდეურ-აღმზრდელობითი და პოლიტიკურ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებით კიდევ უფრო ავამაღლებთ მათს ავანგარდულ როლს სამეურნეო ცხოვრებაში, მაქსიმალურად გავაძლიერებთ მათს დახმარებას დიდა-სამშობლოსადმი, წითელი არმიისადმი, რომელიც გენიალური მხედართმთავრის დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით დასავლეთისაკენ ერეკება ჰიტლერელთა შეჯავშნულ ბანდას და აღწევს ისტორიულ წარმატებებს მტერზე საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, სსრ კავშირის საზღვარგარეთული საელჩოებისა და მისიების დიპლომატიური მუშაკებისათვის ფორმის ჯანისამოსის შემოღების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, სსრ კავშირის საზღვარგარეთული საელჩოებისა და მისიების დიპლომატიური მუშაკებისათვის შემოღებულია საპარადო და საყოველდღეო (საზამთრო და საზაფხულო) ფორმის ტანისამოსი, ამ ტანისამოსის იმ ნიმუშებისა და აღწერილობის თანახმად, რაც წარმოდგენილია საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ.

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ნიმუშები და აღწერილობა განმასხვავებელი ნიშნებისა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, სსრ კავშირის საზღვარგარეთული საელჩოებისა და მისიების დიპლომატიური მუშაკებისათვის, აგრეთვე საპარადო და საყოველდღეო ფორმის ტანისამოსის ტარების წესები.

ამხ. ჯ. კ. შუბლაძის დაჯილდოება

ახალ სიმძლავრეთა ამუშავებისა და ევაკუირებული ენერგეტიკული მოწყობილობის და ჰიდრავლური ელექტროსადგურების აღდგენის საქმეში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატის თბოსადგურებისა და ჰიდრავლური ელექტროსადგურების მშენებლობის მუშაკთა ჯგუფი. მათ შორის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე შუბლაძე—უზბეკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე.

მერიგე ი. პ. ცერცვაძის დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი არმიის გენერლების, ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის ჯგუფი. მათ შორის მედლით **„მამაცობისათვის“** დაჯილდოებულია მერიგე ივანე პეტრეს-ძე **ცერცვაძე.**

ამხ. ი. ა. ჯავახიშვილის დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია შორმოქმედი ავიაციის გენერლების, ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის ჯგუფი. მათ შორის მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** დაჯილდოებულია იოსებ ალექსანდრეს-ძე **ჯავახიშვილი.**

ორდენების გაღაცემა ორგანიზაცია „მოლოდაია გვარდიის“ წევრებისათვის

კრასნოდონში შესდგა ხალხმრავალი მიტინგი არალეგალურ კომკავშირულ ორგანიზაცია „მოლოდაია გვარდიის“ წევრებისათვის ორდენების გადაცემის გამო.

ორდენები ცოცხლად გადარჩენილ ახალგაზრდა გვარდიელებს და დაღუპულთა მშობლებს გადასცა უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გრეჩუხამ. იმ შშობლების სახელით, რომელთა შვილები იბრძოდნენ გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ და თავი დასდეს სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის, სიტყვა წარმოსთქვა ელენე ნიკოლოზის-ასულმა კოშევაიამ. „მოლოდაია გვარდიის“ წევრმა პოლია ივანცოვამ ილაპარაკა თავისი ამხანაგების საბრძოლო საქმეებზე, ახალგაზრდა გმირების მამაცობაზე, სიმტკიცეზე, ურყევ ნებისყოფაზე. წარჩინებულმა მნგრეველმა ამხ. პანაშჩატენკომ მოუწოდა მეშახტიებს ქვანახშირის ამოღების გადიდებით სცენ პატივი დაღუპულ ახალგაზრდა გვარდიელებს.

მიტინგის მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს ამხანაგ სტალინს. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

8 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

8 ოქტომბრის განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ ტამანის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი ნაწილის გაწმენდას და სპობდნენ მოწინააღმდეგის ჯარების ნაშთებს.

დაკავებულია გერმანელთა დასაყრდენი პუნქტები — ბოლუბინსკი, კუჩუგური, ფონტალოვსკაია, ტატარსკი, ვესიოლი, ზაპოროჟსკაია.

ნოვოროსიისკის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, წინ წაიწიეს 6-დან 12 კილომეტრამდე და დაიკავეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის: დიდი დასახლებული პუნქტები—სიბიაკი, კასპლიანე, პრანიკი, ვერხნიე და ნიჟნიე კოშევიჩი, კოშევატკა, ზაბოროდნო, რუბეჟნიცა, ნოვაია ბელი, იაკუბოვიჩინა, ზაოლშა, შუბკი, ლიუბავიჩი, კლემიატინა, ეფრემოვო, დაუკოვცი, გერასიმენკი და რკინიგზის სადგური ზაოლშა.

ნეველის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის: ლახნი, კასილოვო, რიკოშინო, ბუსლოვა, ჟუკოვო, რაკი, ბოლოტნიცა.

7 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 50 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 87 თვითმფრინავი.

* * *

ტამანის ნახევარკუნძულზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის ჯარების ნაშთების მოსპობას. 6 შენაერთის ნაწილები ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანელებთან, რომლებიც გამაგრებული იყვნენ დასაყრდენ პუნქტებში—კუჩუგურსა, ფონტალოვსკაიასა და ტატარსკში. დღის დამლევისათვის ჰიტლერელები, რომლებიც თავს იცავდნენ ამ ზღუდეზე, მეტწილად მოსპობილ იქნენ, ხოლო დარჩენილნი ტყვედ დაგვნებდნენ. ხელში ჩავიგდეთ 34 ქვემეხი, 8 სანაღმტყორცნი ბატარეა, 142 ტყვიამფრქვევი, 6 საწყობი საომარი მასალა და რამდენიმე საწყობი სხვადასხვა საბრძოლო ქონება.

ჩვენი ავიაცია განაგრძობდა მოწინააღმდეგის სანაოსნო საშუალებათა დაბომბვას ქერჩის სრუტეში. ჩაძირულია 5 კარჭალი გერმანელთა ქვეით ჯარისთვის. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 16 თვითმფრინავი.

* * *

დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმების გასაფართოებლად. 6 შენაერთის ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის კონტრიერიშები, წინ წაიწიეს და გაანადგურეს პოზიციები. დღის განმავლობაში მოსპობილია 800-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა რაიონში გერმანელებმა, რომლებიც ცდილობდნენ მოეხდინათ ლიკვიდაცია ჩვენი ჯარების პლაცდარმისა დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, ბრძოლაში ჩააბეს ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები. ბრძოლებმა უაღრესად გააფთრებული ხასიათი მიიღო. ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის კონტრიერიშები და მოსპეს 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დააზიანეს და დასწეს 24 ტანკი და 8 თვითმავალი ქვემეხი.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 32 თვითმფრინავი.

* * *

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში გერმანელი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ეყრდნობა რა წინასწარ მომზადებულ პოზიციებს, მტერი წინააღმდეგობას გვიწევს, მაგრამ საბჭოთა ჯარების დარტყმების შედეგად უკუიქცევა დასავლეთისაკენ. შეუპოვარი ბრძოლები იყო დღეს ერთი დიდი დასახლებული პუნქტის რაიონში. დღის დამლევისათვის 6 ნაწილის მებრძოლებმა ერთსა და იმავე დროს ორი მხრიდან მიიტანეს იერიში გერმანელებზე, შეიჭრნენ სოფელში და მოსპეს მტრის მთელი გარნიზონი. ბრძოლის ველზე დარჩა 400-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი. ხელში ჩავიგდეთ დაკვლა, რომელშიც არის 11 ქვემეხი, 35 ტყვიამფრქვევი და ერთი საწყობი სამხედრო ქონება. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

კალინინის ფრონტის ჯარები ქალაქ და რკინიგზის კვანძ ნეველის დაკავების შემდეგ, განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ნეველის მისადგომებზე და ქალაქის ქუჩებში წარმოებულ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს 3 ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოყვანილია 600-ზე მეტი ტყვე. მოწინააღმდეგე ყოველი ღონისძიებით ცდილობს შეაჩეროს ჩვენი ჯარების წინსვლა, მაგრამ შარავს განიცდის. 6 შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც ბრძოლებით მიიწევდნენ წინ, ღღეს დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ხელში ჩავიგდეთ 22 ქვემეხი, 6 ქქსლულიანი ნაღმსატყორცნი, 140 ავტომანქანა, საწყობები საომარ მასალიანად.

ჩვენი მოიერიშე და ბომბდამშენი ავიაცია აქტიურად ეხმარება შემტევ სახმელეთო ჯარებს და ურტყამს გერმანელთა საბრძოლო წყობებსა და მოახლოებულ რეზერვებს. მოსპობილია 2 ორთქლმავალი, 15 ვაგონი, 200-მდე ავტომანქანა, აფეთქებულია საომარი მასალების საწყობი, გაჟღეტილია ერთ პატალიონამდე ჰიტლერელი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 36 თვითმფრინავი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის აღიაციამ ბალტიის ზღვაში ჩასძირა მოწინააღმდეგის 2 ტრანსპორტი 7 ათასი ტონნა საერთო წყალწყვისა. გარდა ამისა, ძლიერ დაზიანებულია გერმანელთა ტრანსპორტი 3 ათასი ტონნა წყალწყვისა.

* * *

უკრაინელთა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა, რომლებიც მარჯვენა ნაპირის უკრაინის რაიონებში მოქმედებენ, ერთი ქვირის განმავლობაში დასწვა გზატეხილთა 12 ხიდი და აიფეთქა მოწინააღმდეგის 47 სატვირთო და 16 მსუბუქი ავტომანქანა. მოკლული და დაჭრილია 120 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. როგორც ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა 17-დან 23 სექტემბრამდე აიფეთქა 4 სარკინიგზო ხიდი და ლიანდაგიდან გადააგდო მტრის 3 ეშელონი. დამტვრეულია 26 ვაგონი და პლატფორმა. მატარებელთა მოძრაობა რკინიგზის ამ უბანზე შეწყვეტილია.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი ქალაქ კრამატორსკში გერმანელი ფაშისტი ბარბაროსების მიერ ჩადენილი მხეცობის შესახებ: „წინასწარი ცნობებით, ჰიტლერელმა ბარბაროსებმა, ქალაქის კომენდანტის—ლეიტენანტ მონშკეს და ბურგომისტრ შოპენის მეთაურობით, ოკუპაციის დანმავლობაში წამებით დახოცეს და დახვრიტეს 6 ათასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები. მარტო ცარცოვანი მთის კარიერებში, გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკის ბარაკების მახლობლად, ფაშისტმა მტარვალებმა დახვრიტეს 3 ათასამდე მამაკაცი, ქალი და ბავშვი. ბევრი მცხოვრები ჰიტლერელმა მონათვაჭრებმა ძალით გარეკეს მონებად გერმანიაში. ჰიტლერელებმა აიკლეს და გაძარცვეს ქალაქი. გერმანელებმა დაანგრიეს ნოვო-კრამატორსკის და სტარო-კრამატორსკის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნები, მეტალურგიული ქარხანა, მძიმე ჩარხთმშენებლობის ქარხანა, ცემენტის ქარხანა, კოქსქიმიური ქარხანა და სხვა საწარმოები. ქალაქში მოსპობილი და დანგრეულია ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი. ოკუპაციის პირველსავე დღეებში ფაშისტმა მძარცველებმა დახურეს საავადმყოფოები, ამასთან წინასწარ გაიტაცეს მთელი ქონება და ძვირფასი მოწყობილობა. უკანდახევის წინ გერმანელებმა დასწვეს და ააფეთქეს 4 საავადმყოფო, 2 პოლიკლინიკა, ბავშვთა საავადმყოფო, რომელიც მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით იყო მოწყობილი, სამშობიარო სახლი, სისხლის გადასხმის სადგური და კლინიკური ლაბორატორია. ქალაქში არსებული 18 სკოლიდან ნაწილობრივ გადარჩა მხოლოდ 2, დანარჩენები დანგრეულია. გერმანელმა მტარვალებმა დაწვეს კულტურის სასახლე, პუშკინის სახელობის თეატრი, კლუბი „შტურმი“, პიონერთა კლუბი, დაგბრიეს სტადიონი და მოსპეს კულტურისა და დასვენების პარკი.

ეს სრულიადაც არ არის ფაშისტი კაციჭამიების დანაშაულობათა და მხეცობათა სრული ნუსხა. მტრის საზიზღრობა განუზომელია. შეუძლებელია ჩამოთვლილ იქნას ჰიტლერელი ავაზაკებისა და კაცისმკვლელების ყველა ვეულრი, ჭეშმარიტად საშინელი ბოროტმოქმედება. ასეთ დანაშაულობათათვის არავითარი სასჯელი არ შეიძლება მეტისმეტად სასტიკი იყოს“.

აქტს ხელს აწერენ კრამატორსკში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამომკვლევი კომისიის წევრები: ლუგოვოი, მიშკო, პაცულია, რიაბჩენკო, ექიმი ზაბაროვსკაია, მღვდელი დ. სტრიეკო, მასწავლებელი ქალი ნ. სკლიაროვა.

ჩვენი ავიაციის თავდასხმები რკინიგზის კვანძებზე ქიზომირსა, კოროსტენსა, ჯანკოისა და გოროდოკზე, სადგურებზე მელიგოპოლსა, შკლოვსა და რეჩიცაზე

7 ოქტომბერს ღამით ჩვენი ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძებს—ჟიტომირს, კოროსტენს, ჯანკოის, გოროდოკს (ვიტებსკის ჩრდილოეთით), სადგურებს—მელიტოპოლს, შკლოვს, რეჩიცას (გომელის დასავლეთით). დაბომბილ იქნა მოწინააღმდეგის სამხედრო ტექნიკით, საწვავით, საომარი მასალებითა და სამხედრო ქონებით დატვირთული ეშელონები. დაბომბვის შედეგად დამტვრეულია რამდენიმე საკინიგზო შემადგენლობა და მრავალი ვაგონი. ბევრგან გაჩნდა ხანძარი, რასაც თან სდევდა დიდი ძალის აფეთქებანი. სადგურებსა და კვანძებში დანგრეულია რკინიგზის ლიანდაგები.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი დაბრუნდა თავის ბაზებში.

მზადება ფუღისა და ნივთების მე-3 ლატარიისათვის

სსრ კავშირის ფინსახკომმა დაადგინა ფულისა და ნივთების „მე-3 ლატარიის ჩატარების პირობები და წესი. ლატარია დაიწყება 25 ოქტომბრიდან.

ლატარიის ჩატარების დასაწყისისათვის შემნახველი სალაროები ლატარიის ბილეთებით მოამარაგებენ ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და კოლმეურნეობას. ყოველი მუშა, მოსამსახურე და კოლმეურნე შესძლებს შეიძინოს ლატარიის ბილეთები ისე, რომ, თავისი სურვილისამებრ, ერთბაშად ან ნაწილ-ნაწილ გაანაღდოს ისინი. ლატარიის ბილეთების ღირებულების ნაწილ-ნაწილ განაღდება შეიძლება 1944 წლის 1-ლ იანვრამდე.

ლატარიის ბილეთებს გაავრცელებენ სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობი კომისიები. ლატარიის ბილეთების ღირებულების გასანაღდებლად ფულის მიღება დაკისრებული აქვთ საწარმოთა, დაწესებულებათა და კოლმეურნეობათა ბუღალტრებს.

საწარმოებსა, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში ლატარიის ბილეთების გავრცელებასთან ერთად, ბილეთებს უშუალოდ გაჰყიდიან შემნახველი სალაროები.

„გოსზნაკმა“ უკვე დაამთავრა ლატარიის ბილეთების დამზადება; ამჟამად ბილეთები ეგზავნება შემნახველ სალაროებს.

ლატარიით ნივთების მოგებათა დასასაჯონლებლად სსრ კავშირის ფინსახკომის განკარგულებაში გამოყოფილია საქონლის სპეციალური ფონდი.

მომავალი ლატარიის საკითხი ამ დღეებში განიხილა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ. ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას წინადადება მიეცა უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ლატარიის ჩატარებაში და ლატარიის ბილეთების გავრცელებაში.

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა პარტიზანები ქიეზენ ჰიზღეარელ მოძალადეებს

სტოკჰოლმი, 8 ოქტომბერი (საკდესი). ჰიტლერული გაზეთი „დოიჩე უკრაინე ცაიტუნგი“ იუწყება, რომ ამ უკანასკნელ ხანს ვინნიცაში და სხვა ქალაქებში მოკლულ იქნენ „უკრაინის გერმანული ადმინისტრაციის მთელი რიგი წარმომადგენლები“. კერძოდ, მოკლული არიან რკინიგზის ადმინისტრაციის მოხელენი ფრიც ული და ერიხ გარუსი. ქალაქ როვნოში მოჰკლეს ლეიტენანტი ჰანს ჰუგო ნირგოფი და ბარონი პეკერ ელსენკოსტენი.

სომარი მოქმედება ივანიავში

ლონდონი, 8 ოქტომბერი (საკდესი). ჩრდილოეთ აფრიკის მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ ამერიკის მეხუთე არმიის ნაწილებმა დაიკავეს კაპუა. ტორმოლის რაიონში ინგლისის ჯარებმა გაიუმჯობესეს პოზიციები და მოიგერიეს რამდენიმე კონტრიერიში მოწინააღმდეგისა, რომელმაც ბრძოლაში ჩააბა ქვეითი ჯარი და ტანკები. სომარი ოპერაციების უმეტეს რაიონებში წვიმები მოვიდა.

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ინგლისზე

ლონდონი, 8 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ 7 ოქტომბერს ღამით ბრტის ავიაცია თავს დაესხა ლონდონს. გერმანიის 60 ბომბდამშენიდან, რომლებმაც სანაპირო ზოლი გადმოლახეს, ქალაქის რაიონამდე 15-ზე მეტს არ მოუღწევია. ბომბებმა, რაც ჩამოყრილ იქნა მთელ რიგ პუნქტებში, გამოიწვიეს ზიანი და მსხვერპლი.

ინგლისის ავიაციის თავდასხმები შვეიგარიასა, ფრიდრიხსჰაფენი და მიუნხენზე

ლონდონი, 8 ოქტომბერი (საკდესი). ლონდონში გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ 7 ოქტომბერს ღამით ინგლისის ავიაცია თავს დაესხა სამხრეთ გერმანიას. თავდასხმის მთავარი ობიექტი იყო შტუტგარტი. დაბომბილ იქნა აგრეთვე ფრიდრიხსჰაფენი, მიუნხენსა და ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიაში მდებარე ობიექტებნი.

ჩვენმა ჯარებმა დნეპრი გადალახეს

კიევის ჩრდილოეთით, 7 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა ჯარების წინ დნეპრი გადაიშალა. რუსეთის დიდი მდინარე! ძნელი ასაწერია ის მღელვარების გრძნობა, რომელმაც შეიპყრო მებრძოლები და ოფიცრები, როცა მათ კვლავ დაინახეს მშობლიური დნეპრი. ეს წუთი დაუვიწყარი იყო. ბედნიერი ადამიანები პეშვითა და პილტური ქუდით სვამდნენ დნეპრის წყალს. მარცხენა დაბლობი ნაპირიდან მკრთალად ჩანდა დნეპრის მარჯვენა, მაღალი ნაპირი, რომელზეც გაბნეულია კორომები და სოფლები. იქ თავის სიმაგრეებშია ჩამჯდარი მტერი.

მებრძოლები საბრძოლველად მიიწევდნენ. მათ დაუძლეველი სურვილი ჰქონდათ დაუყოვნებლივ გადასულიყვნენ მარჯვენა ნაპირზე. და სანამ მთავარი ძალების დაგროვება ხდებოდა, ავანგარდები სწრაფად ეშზადებოდნენ მდინარის გადასალახავად. მებრძოლები და ოფიცრები უდიდეს მამაცობას, შედგრომასა და მოსაზრებულობას იჩენდნენ. ნაპირთან ეზიდებოდნენ გერმანელების მიერ დაყრილ ბენზინის კასრებს, მაგრად ჰკრავდნენ მათ და წყალში უშვებდნენ. წნული ღობეებისა და კონების ტივებს აკეთებდნენ. იყენებდნენ ყველაფერს, რაც კი მათ ხელთ იყო. ამასობაში გამორკვეულ იქნა რაიონი, სადაც დნეპრი უნდა გადაელახათ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ქვეგანაყოფებმა წყლის დაბრკოლებათა გადალახვის მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს შეტევითს ბრძოლებში, ისინი დიდ სიძნელეებს შეხვდნენ დნეპრზე.

დადგა გადაწყვეტილებათა მიღების ღამე. ჯარები მზად იყვნენ გადაშვებულიყვნენ დნეპრს გალმა. ამ ღამეს ათასობით ადამიანებს არ ეძინათ; ისინი მათ თვალწინ გადაშლილ საოცარ სურათს უყურებდნენ. ჭაღარა დნეპრს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაჰყურებდა. მთავარის შუქი ვერცხლისფრად ეფინებოდა წყლის სწორ ზედაპირს, რომელიც ოდნავ ირხეოდა. წყნარად და უხმაუროდ გასცურეს ნაპირიდან პირველმა ტივებმა და მეთევზეთა ნავებმა. მდინარის გადალახვა დაიწყო. დაიძრა მარჯვენა ნაპირისაკენ ნავების, ტივების, ბორნების ქარავანი.

გერმანელებმა ვერ შენიშნეს ჩვენი ნაწილების მოძრაობა, ისე მარჯვედ იყო ყველაფერი მომზადებული, მტერი მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა სადესანტო რაზმებმა დნეპრის შუაგულს მიაღწიეს. ჰიტლერელებმა სროლა ატეხეს. დესანტი სდუმდა. კიდევ უფრო მძლავრად უსვამდნენ ნინბებს მებრძოლნი. ალპარაკოდნენ მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები, რომლებიც ფეხზე დააყენა სანგარაშო სროლა; ამუშავდა მტრის თავდაცვის მთელი სისტემა.

ამ დროს საჭმეში ჩაერია ჩვენი არტილერია. ცეცხლის სამძლავრე ყოველ წუთს ძლიერდებოდა. თოფის, ტყვიამფრქვევისა და ავტომატის სროლა ასტეხეს ჩვენმა მებრძოლებმა, რომელნიც მდინარეში გადიოდნენ. დნეპრის სწორ ზედაპირს მოტრასირე ჯერები ანათებდა. მარცხენა ნაპირიდან მედესანტეთა სულ ახალ-ახალი ჯგუფები მიდიოდნენ. ისინი სხვადასხვა მიმართულებით სჭრიდნენ მდინარეს. ამიტომ მტერს ვერ გამოერკვია დესანტის გადასვლის მთავარი პუნქტები.

საავანგარდო რაზმებმა ფეხი შეასვეს მდინარის მარჯვენა ნაპირზე. დაიწყო გაფთრებული ბრძოლა. ბერ ტივიდან გადმომხტარი მებრძოლი ჯგუფი სწრაფად ჩასანგრდა და სროლა აუტეხა ერმანელთა ოფიცრებს, რომელსაც მტრის ტყვიამფრქვევი ჩაუტეხა, მეორესაც მტრის ტყვიამფრქვევი ჩაუტეხა, მებრძოლები წინ გაუსწორენ და ძლავრი კვეთებით გაარღვიეს ამ პუნქტში მტრის თავდ

მოქმედი არმია. ოთხი დაზვერვა ბრძოლით ჩაატარა იმ ასეულმა, რომლის მეთაურიც არის ქართველი ხალხის მამაცი შვილი, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით დაჯილდოებული კაპიტანი მ. ი. ლომსაძე. ამ საბრძოლო ოპერაციებში მამაცმა მზვერავებმა გაჟლიტეს 200-ზე მეტი ფრიცი და ტყვედ წამოიყვანეს 15. სურათზე: კაპიტანი მ. ი. ლომსაძე. ფოტო ლ. ველიკჟანინისა

მოქმედი არმია. მოიერიშე მფრინავი გვარდიის ლეიტენანტი ზ. მ. ინასარიძე, რომელსაც თავის ანგარიშზე აქვს 61 საიერიშო გაფრენა. დუხოვშჩინასთან ბრძოლებისათვის დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით. ომამდე ქ. ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის სტუდენტი იყო.

ფოტო ლ. დორენსკისა.

ბრძოლები ქალაქ ნეველისა და ჭამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის

„კრასნაია ზვეზდას“ სპეციალური კორესპონდენტი პოდპოლკოვნიკი ვასილევიჩი ტელეგრაფით იტყობინება:

ნეველისათვის ბრძოლები უდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ქალაქი მდებარეობს ისეთ რაიონში, სადაც ძალიან ბევრი ხევებია. ქალაქი გარშემორტყმულია თითქმის მთლიანი ჭაობებით, რომლებიც ადგილ-ადგილ გაუვალია. აქ ბევრია ტყეები. ქალაქში სხვადასხვა მხრიდან შედის რამდენიმე რკინიგზა და გზატკეცილი. მაგრამ ამ გზებს გერმანელთა დიდი ძალები იცავდნენ. ამიტომ გამორიცხული იყო ყოველგვარი შესაძლებლობა, რომ ჩვენ ჯარებს შეტევა ეწარმოებინათ ამ გზების გაყოლებით. ნეველის გარშემო მდებარე დანარჩენი ადგილი სავსებით უგზოა. მოკლედ რომ ვთქვათ, სომარი მოქმედების ასპარეზი ფრონტის ამ უბანზე განსაკუთრებით ძნელი იყო, შეიძლება ითქვას, ყველა სხვა ასპარეზზე უფრო ძნელიც კი.

გერმანელთა თავდაცვა ნეველის რაიონში დიდძალი თავდაცვითი სიმაგრეებით ხასიათდებოდა. ყველა გზა მოწინააღმდეგემ მჭიდროდ დანაღმა. ჭაობებსა და ტბებს შუა ყოველი მაღლობა გამაგრებული იყო. ყველა დასახლებული პუნქტი მტერმა წინააღმდეგობის ძლიერ კვანძებად გადაქცია.

გერმანელთა სარდლობას თავისი თავდაცვა ნეველის რაიონში მიუთვალად მიაჩნდა. ეი რატომ არის, რომ არმიის გენერალ ამხ. ერემენკოს ჯარების მიერ მოპოვებულ გამარჯვებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

შემტევმა ნაწილებმა შესძლეს მოწინააღმდგის თავდაცვის გარღვევა 25 კილომეტრ მანძილზე. შეტევითი ბრძოლების უკვე მეორე დღეს გარღვევის სიღრმემ 25 კილომეტრს მიაღწია.

კარგად მოფიქრებული და მშვენივრად შესრულებული დარტყმების შედეგად ჩვენმა ჯარებმა შეტევის მეორე დღის დამლევისათვის შესძლეს ნეველის დაკავება. გერმანელებმა დაპკარგეს ჩრდილო-დასავლეთში თავდაცვის ოპერატიულად მნიშვნელოვანი კვანძის ერთ-ერთი უდიდესი დასაყრდენი პუნქტი.

ნეველისათვის ბრძოლებში საბჭოთა ჯარებმა გვიჩვენეს მაღალი საბრძოლო გაწვრთნილობა, ძნელ პირობებში შეტევის უნარი. ოპერაციის წარმატება ძიდეგი იყო უწინარეს ყოვლისა მთავარი დარტყმის მიმართულების მარჯვედ შერჩევისა.

ჩვენი სარდლობისათვის ცხადი გახდა, რომ შეტევა რკინიგზებისა და გზატკეცილების გაყოლებით, რომლებსაც მოწინააღმდეგის დიდი ძალები იცავდნენ და რომლებიც კარგად გამაგრებული იყო, აქ არ შეიძლებოდა. მაშასადამე, დარტყმა უნდა მომხდარიყო რომელიმე სხვა მიმართულებით. ამ მიზნით ჩვენმა სარდლობამ აირჩია რაიონი, რომელიც დღემდე სრულიად გაუვალად ითვლებოდა, — მთლიანი ჭაობების, ტბებისა და ტყეების რაიონი. გერმანელებმა იცოდნენ, თუ რას წარმოადგენდა ეს რაიონი, და ამიტომ აქ უშიშრად გრძნობდნენ თავს. სწორედ ამიტომ ჩვენმა ნაწილებმა შეტევა დაიწყეს ჭაობებსა და ტყეებზე. ჩვენი ნაწილები ზედიზედ სპობდნენ გერმანელთა წინააღმდეგობის კვანძებს და ბრძოლების უკვე მეორე დღეს შესძლეს შეჭრილიყვნენ ნეველში. მოწინააღმდეგის ნეველის გარნიზონში აუწერელი პანიკა დაიწყო. როგორც სჩანს, ქალაქში ჩვენი ნაწილების შეჭრა აგრეთვე უეცარი აღმოჩნდა გერმანელებისათვის.

ნეველში პირველნი შევიდნენ პოლკოვნიკ კოჩერგინის 78-ე სატანკო ბრიგადის ჩვენი სახელოვანი ტანკისტები. მათთან ერთად ქალაქში შეიჭრნენ გენერალ-მაიორ მიხაილოვის გვარდიის 21-ე მსროლელი დივიზიის მამაცი ქვეითები. მსროლელმა ნაწილებმა სატანკო ქვეგანაყოფებთან ერთად გადამწყვეტი ეერიშებით გაანადგურეს რამდენიმე ცალკეული დასაყრდენი პუნქტი ნეველის წინ და თანდათან აძლიერებდნენ შეტევას. გერმანელები, მიუხედავად აბნეულობისა და პანიკისა, ცალკეულ ადგილებში შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწეოდნენ. როგორც სჩანს, მათ კიდევ იმედი ჰქონდათ მოეგერიებინათ ჩვენი ეერიში და შეენარჩუნებინათ ქალაქი. მაგრამ მთელი ეს ცდები ამაო აღმოჩნდა. მტერი ყველგან სეტრიოზულ ზარალს განიცდიდა და ბოლოს იძულებული გახდა უკან დაეხია.

ჩვენმა ნაწილებმა მთლიანად დაიკავეს ნეველი.

* * *

თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ გერმანელები ტამანის ნახევარკუნძულს, ამის შესახებ პოდპოლკოვნიკი კუზენკო დღეს „კრასნაია ზვეზდაში“ სწერს:

თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა გერმანელთა სარდლობა ტამანის ნახევარკუნძულს და მდინარე ყუბანის ქვემოწელის რაიონს, ეს უკვე იქიდან სჩანს, რომ იქ შეტევისათვის გამოყვანილი იყო თითქმის მთელი საარმიო ჯგუფი, ჰიტლერის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი გენერლის—გენერალ-ფელდმარშალ ფონ-ბოკის სარდლობით. ეს ჯგუფი შესდგებოდა მე-17 არმიისა, 1-ლი სატანკო არმიისა და რუმინელთა მე-3 არმიისაგან და მას ავიაციის დიდი ძალები ეხმარებოდნენ.

1942 წლის აგვისტოში გერმანელებმა უდიდესი ზარალის ფასად მოახერხეს ხელში ჩაეგდოთ კრასნოდარი, ხოლო სექტემბერში მოეხდინათ ტამანის ნახევარკუნძულის ოკუპაცია.

ზამთარში წითელი არმიის ნაწილები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ და ძირითადად გაათავისუფლეს ჩრდილოეთი კავკასია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. წითელი არმიის ნაწილების დარტყმებით მოწინააღმდეგემ ჩრდილოეთ კავკასიიდან უკან დაიხია ტამანის ნახევარკუნძულზე.

ამ დროს გაზაფხულის უგზოობა დაიწყო. ტამანის ნახევარკუნძულის პირობებში, სადაც საგზაო ქსელი სუსტად არის განვითარებული, სადაც ბევრია ჭალაკები და ლიმანები, რთულია ადგილის რელიეფი, შემტევი ჯარების შემდგომი წინსვლა მეტად გაძნელდა. მოწინააღმდეგემ ამით ისარგებლა და გამაგრდა წინასწარ მომზადებულ თავდაცვითს ხაზდეზე, რომელიც თავდაცვისათვის ყოველმხრივ ხელსაყრელ ადგილზე გადიოდა.

გერმანელთა სარდლობამ აქ თავისი ჯარები რომ დასტოვა, გადასწყვიტა რადაც უნდა დასჯდომოდა შეენარჩუნებინა ტამანის პლაცდარმი.

1943 წლის მარტის პირველ რიცხვებში ჰიტლერმა ტამანში მყოფ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს მიმართა სპეციალური მოწოდებით, რომელშიც მოითხოვდა ებრძოლნათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და შეენარჩუნებინათ ტამანის ნახევარკუნძული. ამასთან ჰიტლერმა აცნობა ჯარისკაცებს, რომ ტამანის პლაცდარმზე გამოგზავნილი იქნებოდა დიდი მაშველი ძალები. მართლაც, მომდინარე წლის ივნისისა და ივლისის განმავლობაში გერმანელთა სარდლობამ ტამანის ნახევარკუნძულზე გადმოიყვანა ოთხი დივიზია, მათ შორის ერთი დასავლეთ ევროპიდან. გარდა ამისა, ტამანში მოქმედ გერმანელთა ნაწილებს განცდილი ზარალის ასანაზღაურებლად მრავალი სამარშო ბატალიონი მოუვიდათ. ჰიტლერი და მისი გენერლები აცხადებდნენ, ტამანის პლაცდარმის შენარჩუნება საჭიროა იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დასაყრდენ ბარიერს, რომელიც ყირიმის თავდაცვას უზრუნველჰყოფსო, გარდა ამისა, მათი აზრით, აქედან შეიძლებოდა მუდმივი მუქარა შეექმნათ ჩრდილოეთ კავკასიისათვის და აეძულებინათ საბჭოთა სარდლობა ჰყოლოდა აქ დიდი ძალები ფრონტის სხვა უბნების ხარჯზე, სადაც გერმანელებს განზრახული ჰქონდათ გენერალური შეტევა.

ტამანის პლაცდარმის გამაგრებას გერმანელები ჯერ კიდევ 1943 წლის იანვარში შეუდგნენ. თავდაცვითს სამუშაოებზე ითასობით ადამიანს ერეკებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობიდან. ამ სამუშაოებში ჩაბმული იყვნენ როგორც მესანგრეთა და მშენებელი ნაწილები, ისე საველე ჯარებიც. შეიქმნა თავდაცვის მეტად მტკიცე ხაზი, რომელსაც გერმანელებმა „ცისფერი ხაზი“ უწოდეს. მისი მარცხენა ფლანგი აზოვის ზღვისპირა ჭალაკებს ებჯინებოდა, მარჯვენა კი—შავ ზღვას. „ცისფერი ხაზის“ სიღრმე 20 კილომეტრს აღწევდა. იგი შესდგებოდა რამდენიმე კარგად გამაგრებული თავდაცვითი ზღუდისაგან, სადაც იყო ძელმიწური საცეცხლე წერტილები, სრული პროფილის სანგრები, სანგარსასვლელები, ტრანშეები და მოწყობილი საარტილერიო პოზიციები.

სექტემბრის დამდეგს ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა კომბინირებული დარტყმით ხმელეთიდან და ზღვიდან დაიკავეს ცემესის ბუხტის ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო—ნოვოროსიისკის ნავსადგური ძირითადი ნაწილი, ვაგზალი და ცემენტის ქარხნები.

მალე ნოვოროსიისკი განთავისუფლებულ იქნა ჩვენი ჯარების მიერ. ამავე დროს მომზადებულ იქნა ძლიერი დარტყმა ფრონტის სხვა უბანზე. როდესაც გერმანელებმა აქ თავისი თავდაცვა შეასუსტეს და ძალების ნაწილი ნოვოროსიისკთან გადაიყვანეს, ჩვენი ჯარები მძლავრი საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ დაიძრნენ „ცისფერი ხაზის“ პოზიციების საეერიშოდ.

თავდაცვის პოზიციები, რომლებიც გერმანელთა აზრით მიუვალი იყო, გარღვეული აღმოჩნდა და მოწინააღმდეგე იძულებული გახდა უკან დაეხია.

(მილებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

არასწორი დამოკიდებულება პრესისადმი

ზედმეტია ლაპარაკი პრესის მნიშვნელობაზე ჩვენს ქვეყანაში: მისი როლი საყოველთაოდ არის ცნობილი. პრესა „ჩვენი პარტიის ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლიერი იარაღია“ (სტალინი). იგი აყალიბებს ადამიანთა შეხედულებებს, იგი რაზმავს მასების ძალღონეს სახელმწიფო ამოცანათა შესასრულებლად. აქედან ბუნებრივია, რომ პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან განამტკიცონ გაზეთის მუშაკთა ავტორიტეტი, მეტი ყურადღება დაუთმონ რედაქტორთა, პარტიულ ლიტერატორთა კადრების გამოზრდის საქმეს.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გაზეთის მუშაკებისადმი უგულებელმყოფელი დამოკიდებულების ფაქტებს. ასეთ ფაქტებს კი, სამწუხაროდ, ზოგჯერ აქვს ადგილი. ამის წინათ საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტმა გამოიტანა გადაწყვეტილება გაზეთ „ლენინგრადსკაია პრავდის“ კორესპონდენტისადმი ერთი ქარხნის ხელმძღვანელთა დაუშვებელი დამოკიდებულების შესახებ.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია გაზეთ „ლენინგრადსკაია პრავდის“ წარმომადგენლისადმი ქარხნის ხელმძღვანელთა სრულიად დაუშვებელი დამოკიდებულება, რაც იმით გამოიხატა, რომ გაზეთის მუშაკს ფაქტიურად წაართვეს საწარმოს მუშაობის გაშუქების შესაძლებლობა და მას ქარხნის მუშაკთან საუბრის ჩანაწერიც კი ჩამოართვეს. საქალაქო კომიტეტმა ასეთი მოქმედება შეაფასა როგორც მისწრაფება ქარხნის მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკისათვის ხელის შეშლისადმი.

არაპარტიული დამოკიდებულებისათვის პრესის წარმომადგენლისადმი, რომელიც თავის პირდაპირ მოვალეობებს ასრულებდა, საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტმა საყვედური გამოუცხადა ქარხნის დირექტორს და პარტკომის მდივანს.

გაზეთის მუშაკი პარტიული პრესის წარმომადგენელია, იგი მნიშვნელოვან პარტიულ საქმეს აკეთებს. ჩვენი გაზეთების მუდმივი გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ საგაზეთო კადრებს აქტიურად დაეხმარებიან და ყოველდღიურ ხელმძღვანელობას გაუწევენ პარტიული ორგანიზაციები.

(„პარტიინოე სტროიტელსტვო“, № 16, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ჟურნალი).

დღეღამე

შეიარაღებული შეჯაჭვა რუმინეთ-უნგრეთის საზღვარზე

ლონდონი, 2 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ციურიხელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ამას წინათ შეტაკება მოხდა რუმინეთის და უნგრეთის სანაპირო მცველ რაზმებს შორის. მოკლულ იქნა 6 რუმინელი, მათ შორის ერთი ოფიცერი. რუმინეთში აცხადებენ, რომ უნგრელთა პატრულმა წინასწარი განზრახვით დაარღვია რუმინეთის საზღვარი.

ჰიგლერელთა რეპრესიები იტალიელი ჯარისკაცების წინააღმდეგ საბერძნეთში

სტამბოლი, 2 ოქტომბერი (საკდესი). საბერძნეთიდან მიღებული ცნობებით, ჰიტლერული საოკუპაციო ხელისუფალნი იტალიის მე-11 არმიის სარდალთან და ათენის იტალიელ კომენდანტთან ერთად, რომლებიც გერმანელთა მხარეზე დარჩნენ, მკაცრ რეპრესიებს ანხორციელებენ იმ იტალიელი ჯარისკაცების წინააღმდეგ, რომლებიც უარს აცხადებენ გერმანიის სარდლობის ბრძანებათა შესრულებაზე. ათენში სიკვდილით დასაჯეს ბევრი იტალიელი ოფიცერი. ჰიტლერულმა გაზეთმა „დოიჩე ნახრიხტენ ინ გრიხენლანდმა“, რომელიც ათენში გამოდის, გამოაქვეყნა გერმანიის საოკუპაციო ჯარების სარდლის ბრძანება. ბრძანება ავალებს იმ პირებს, რომელთა ბინებშიც იტალიელი სამხედრო მოსამსახურენი ცხოვრობენ, 3 დღის განმავლობაში აცნობონ ეს გერმანელთა უახლოეს კომენდატურას. ამ ბრძანებით ბერძნებს კატეგორიულად აეკრძალათ თავშესაფარი მისცენ იტალიელ სამხედრო მოსამსახურეებს ან ბინები მიაქირავონ მათ. ამ მოთხოვნის დარღვევისათვის დამნაშავეენი, ნათქვამია ბრძანებაში, დაპატიმრებული იქნებიან.

გერმანიის გემების ქარავნის ჩაძირვა ეგეოსის ზღვაში

ლონდონი, 8 ოქტომბერი (საკდესი). ახლო აღმოსავლეთის მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბი იუწყება, რომ 7 ოქტომბერს მოკავშირეთა მსუბუქმა საზღვაო ძალებმა, რომლებიც ეგეოსის ზღვაში მოქმედებენ, ჩასძირეს მტრის გემების ქარავანი მობადრაგე გემებთან ერთად.

კოღანდიელი ხალხი შეურიგებელ ბრძოლას ეწევა გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ

სტოკჰოლმი, 8 ოქტომბერი (საკდესი). გერმანული ფაშისტური გაზეთი „დოიჩე ცაიტუნგ ინ ნიდერლანდენი“ უჩივის იმას, რომ თავდასხმები ჰოლანდიის საოკუპაციო ხელისუფალთა წარმომადგენლებზე და ჰოლანდიელ ფაშისტებზე ყოველდღიური მოვლენა გახდა ჰოლანდიაში. ასენში პოლიციერმა სამხედრო-საველე სასამართლომ, განიხილა რა იმ პირთა ჯგუფის საქმე, რომლებმაც მოახდინეს მთელი რიგი ტერორისტული აქტები, 10 ბრალდებულ ჰოლანდიელს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა და ერთს 10 წლის პატიმრობა მიუსაჯა. სიკვდილის განაჩენები გასამართლებისთანავე დაუყოვნებლივ იქნა მოყვანილი სისრულეში.

ინგლისური გაზეთი ბაღდადის მთავრობის შემადგენლობის შესახებ

ლონდონი, 8 ოქტომბერი (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა ცნობას ბაღდადის მთავრობის შემადგენლობაში იტალიელი გენერლების—ამბროზიოს და როატას შეყვანის შესახებ, გაზეთ „ტაიმსის“ დიპლომატიური მიმოხილველი მოგვაგონებს, რომ ეს გენერლები სარდლობდნენ იტალიელთა საოკუპაციო ჯარებს ჩრდილოეთ იუგოსლავიაში.

ამბროზიო 1942 წლის იანვრამდე იყო სარდალი იტალიის მეორე საოკუპაციო არმიისა იტალიელთა მიერ ანექსირებულ სლოვენიაში, ხორვატიისა და დალმაციის ნაწილში. აქ ძისი ყოფნის განმავლობაში დახვრეტილ იქნა ბევრი მძევალი. მრავალი ათეული ათასი იუგოსლავიელი წყვანილ იქნა და სიკვდილით შიმშილი ემუქრება იტალიელთა საკონცენტრაციო ბანაკებში. როცა ამბროზიო გენერალ როატათი შესცვალეს, ტერორი გაძლერდა. იუგოსლავიის ბევრი სოფელი გაძარცულ და დაბომბილ იქნა. იტალიელებმა მრავალი ასეული მძევალი დახვრიტეს. როატას სახელი შეტანილია ომის დანაშაულთა ამ სიებში, რომლებიც რამდენიმე თვის წინათ გამოაქვეყნეს იუგოსლავიელებმა მოკავშირეებისათვის წარსადგენად.

უცხოეთის ქრონიკა

იუგოსლავიის იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ოკუპირებულია უნგრეთის მიერ, უკანასკნელ ხანს სადივერსიო აქტები გახშირდა. მოსპობილია დიდძალი ხორბეულები, დაზიანებულია რამდენიმე რკინიგზის ხაზი და აფეთქებულია რკინიგზის მთელი რიგი სადგურები.

3 ოქტომბერს ტოკიოს რაიონში ძლიერი გრიგალისა და თავსხმის შედეგად წალეკილ იქნა 5.000-ზე მეტი სახლი.

* * *

მექსიკაში გამოდის ლევ ტოლსტოის რომანი „ომი და მშვიდობა“.

მოსავლის აღება და ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

(საქმიწსახკომის 5 ოქტომბრის ცნობებით)

(პროცენტობით)

რაიონები	აღებულია მარცვლეულის ადგილზე ცერცვი	ბალეწილია	აღებულია ბაჯრის ბარხალი	მომზადებულია სიმინდი	აღებულია კარტოფილი	აღებულია მზესუმზირა	შეტანილია თამბაქო	მოხნულია მზრალად	დათესილია ზამთრის ფოთლოვანი კულტურები
აფხაზეთის ასსრ	3,3	—	—	22,3	24,1	—	66,5	—	—
აჭარის ასსრ	10,3	66,4	—	83,7	11,9	—	92,3	—	—
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ო.	88,3	100,0	31,3	88,8	22,5	—	—	54,1	6,9
აბაშა	—	—	—	102,7	—	—	—	—	—
ცხაკაია	—	—	—	81,7	—	—	—	—	—
გეგეჭკორი	1,2	—	—	83,3	—	—	—	—	—
ზუგდიდი	—	—	—	57,9	—	—	104,3	—	—
ხობი	—	—	—	23,2	—	—	—	—	—
წალენჯიხა	—	—	—	100,0	—	—	—	—	—
ჩხოროწყუ	—	—	—	95,0	—	—	—	—	—
მახარაძე	—	—	13,5	19,6	—	—	—	—	—
ლანჩხუთი	—	—	—	8,8	—	—	—	—	—
ჩოხატაური	0,6	—	—	47,7	22,2	—	51,9	—	—
ქუთაისი	46,1	86,6	—	100,4	100,0	—	—	—	—
წყალტუბო	—	—	—	103,0	76,1	—	—	—	—
სამტრედია	7,6	94,7	—	60,9	76,9	—	—	—	20,0
წულუკიძე	19,5	—	—	22,6	48,8	—	—	—	—
ვანი	24,7	—	—	63,8	100,0	—	—	—	—
მაიაკოვსკი	—	—	—	93,5	—	—	—	—	—
ზესტაფონი	57,3	—	—	124,7	—	—	—	—	—
ჩხარი	22,3	—	—	97,7	—	—	—	—	—
ჭიათურა	73,9	100,0	—	109,2	89,6	—	—	—	45,2
საჩხერე	61,2	97,6	—	95,1	87,6	—	—	—	82,0
ორჯონიკიძე	52,5	100,0	—	107,6	60,7	—	—	—	91,4
ონი	81,3	100,0	—	100,0	0,7	—	—	—	46,8
ამბროლაური	64,2	95,0	—	59,3	41,2	—	—	—	18,5
ცაგერი	50,8	98,3	—	78,8	—	—	—	—	73,8
ქვემო სვანეთი	40,6	90,7	—	—	—	—	—	—	—
ახალქალაქი	100,0	72,9	—	103,0	1,8	—	—	52,8	109,0
ბოგდანოვკა	93,1	32,7	—	107,7	5,6	—	—	50,7	—
ახალციხე	78,9	96,8	—	70,1	51,9	—	—	60,6	17,1
ადიგენი	79,1	100,0	—	58,9	34,6	—	—	87,5	4,7
ასპინძა	96,8	100,0	—	139,1	1,8	—	—	110,5	38,6
ხაშური	89,4	98,0	—	20,8	74,8	—	—	92,6	32,5
ქარელი	85,9	94,8	5,3	21,5	70,8	—	—	51,3	31,7
გორი	70,1	91,2	14,5	70,2	45,9	—	—	39,3	61,8
კასპი	82,5	94,9	36,7	47,4	38,6	—	—	23,3	30,0
ბორჯომი	87,4	81,5	—	94,9	27,4	—	—	34,2	2,3
წალკა	99,8	47,6	—	101,8	10,4	—	—	44,6	—
დუშეთი	93,2	91,4	—	113,8	80,3	—	—	14,2	64,4
თეთრი წყაროს	86,9	90,8	—	71,0	56,7	80,2	—	5,7	30,1
თიანეთი	78,2	80,4	—	40,9	57,5	—	—	91,5	60,1
ყაზბეგი	78,9	12,9	—	106,9	—	—	—	—	—
გურჯაანი	81,3	96,5	—	93,5	100,0	90,2	58,0	9,1	23,4
სიღნაღი	95,5	100,0	—	83,6	100,0	78,8	41,9	—	28,3
წითელწყაროს	96,1	94,2	—	104,5	100,0	87,9	—	2,9	32,5
თელავი	87,9	100,0	—	58,8	85,3	79,0	—	0,4	35,2
ყვარელი	91,8	100,0	—	7,0	80,0	100,0	59,9	39,8	33,7
ლაგოდეხი	91,5	99,9	—	48,6	87,2	88,9	95,9	1,9	30,8
თბილისი	97,1	95,5	—	15,8	73,0	70,9	—	—	44,6
მცხეთა	81,1	100,0	—	40,3	22,8	16,4	—	—	38,2
ყარაია	80,8	89,4	—	6,8	24,1	100,0	—	—	—
ბორჩალო	93,2	98,4	18,8	60,0	81,7	—	71,6	5,4	17,4
ბოლნისი	97,9	94,0	30,0	90,0	96,5	—	56,7	10,0	2,3
საგარეჯო	87,9	95,4	—	67,5	46,8	63,0	—	—	42,3
ბაშკიჩეთი	83,8	58,4	—	112,0	19,2	—	—	1,9	60,3

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

(ტრესტ „საქჩაის“ 5 ოქტომბრის ცნობებით)

რაიონები	ოქტომბრის გეგმის შესრულება წინა თვეებს დანაკლისის ჩათვლით პროცენტებით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	რაიონები	ოქტომბრის გეგმის შესრულება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით პროცენტებით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით
ბათუმი	32,8	95,7	წულუკიძე	7,5	98,3
ქობულეთი	4,0	92,2	ქუთაისი	—	103,9
გალი	16,2	101,3	ტყიბული	—	97,9
ოჩამჩირე	14,5	92,5	წყალტუბო	—	102,7
გულრიპში	18,4	93,3	ცხაკაია	—	101,2
სოხუმი	80,0	98,0	აბაშა	—	102,3
გუდაუთა	—	103,6	გეგეჭკორი	1,9	94,6
მახარაძე	22,3	98,0	ზუგდიდი	8,4	92,8
ჩოხატაური	2,9	97,2	წალენჯიხა	—	100,0
ლანჩხუთი	9,2	91,9	ჩხოროწყუ	4,2	93,3
სამტრედია	0,9	103,7	ხობი	19,6	98,0

ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო ჩაქვის პირველი (ქობულეთის რაიონი), უშფათის (ცხაკაიას რაიონი), დიდი ჰყონის პირველი (გეგეჭკორის რაიონი), ორპირის (ტყიბულის რაიონი) და მაღლაკის (წყალტუბოს და ქუთაისის რაიონები) ჩაის ფაბრიკებიდან ცხრილში შეტანილია 1 ოქტომბრის მაჩვენებლები.

ფართოდ გავაჩაღოთ საკოლმეურნეო სოფელში წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

გავაძლიეროთ თესვის ტემპები

სიღნაღი („კომუნისტის“ საკ. კორ.). სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა წელს შემოდგომაზე უნდა დასთესონ 21.400 ჰექტარი ხორბალი და ქერი. 6 ოქტომბრისათვის ნიადაგი მოხნული იყო 9.672 ჰექტარზე და დათესილი იყო 6.046 ჰექტარი, შარშან ამავე დროისათვის კი მოხნული იყო 5.731 ჰექტარი და დათესილი იყო 1.158 ჰექტარი. თესვაში დაწინაურდნენ ალაზნის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობები, რომლებმაც 6.400 ჰექტარიდან მოხნეს 3.697 ჰექტარი და დასთესეს 2.089 ჰექტარი. ხვნა-თესვა კარგად მიმდინარეობს აგრეთვე წნორის კოლმეურნეობა „შრომის იმედში“, სადაც გეგმით გათვალისწინებული 230 ჰექტარიდან მოხნული და დათესილია 140 ჰექტარი, ბოდბისხევის კოლმეურნეობა „ნდობაში“ (350 ჰექტარიდან მოხნა 230 და დასთესა 125 ჰექტარი), ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ (300 ჰექტარიდან მოხნა 289 და დასთესა 113 ჰექტარი).

ხვნა-თესვაში ჩამორჩენენ ანაგის კოლმეურნეობები, რომლებსაც გეგმით გათვალისწინებული 1.220 ჰექტარიდან დათესილი აქვთ 57 ჰექტარი. ამავე სოფლის კოლმეურნეობამ „გლეხის მაგალითს“ დასათესი აქვს 130 ჰექტარი, მაგრამ ჯერ ხვნაც არ დაუწყია. კოლმეურნეობა „შრომას“ 230 ჰექტარიდან მოხნული აქვს მხოლოდ 2 ჰექტარი. თესვის დაწყებას აგვიანებს კოლმეურნეობა „ნაპარწყალიც“, რომელსაც, მართალია, მოხნული აქვს 120 ჰექტარი, მაგრამ თესვა არ დაუწყია.

აგროწესები დაარღვიეს ბოდბისხევის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“. აქ წნორის მტს-ის მეოთხე ბრიგადამ (ბრიგადირი დანილოვი) 40 ჰექტარი უხარისხოდ მოხნა და ისე დასთესა ხორბალი. თესვის აგროწესები დაარღვიეს ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშიც, სადაც შერიით დასარეველიანებულ ნაკვეთზე დასთესეს ხორბალი.

ი. სიმონიშვილი

მახარაძელი კოლმეურნეები მხურვალედ გამოეხმაურნენ აღდგომელთა მოწოდებას

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). მახარაძის რაიონის კოლმეურნეობები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის აღდგომის რაიონის კოლმეურნეთა მიმართვას წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ. სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსან კოლმეურნეობაში, აგრეთვე სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის, სოფ. მერიის კიროვის სახელობის, ნიაბაურის დიმიტროვის სახელობის, დვაბზუს ჩარკვიანის სახელობის და რაიონის სხვა კოლმეურნეობებში იკისრეს ახალი კონკრეტული ვალდებულებანი—უდანაკარგოდ და შემჭიდროებულ ვადებში აიღონ როგორც მარცვლეული, ისე ციტრუსოვანი და სხვა კულტურების მოსავალი, ვადაზე ადრე შეასრულონ ყველა სახელმწიფო ვალდებულებანი, გაადიდონ მზრუნველობა ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად.

სოფ. გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელსაც რაიონული გარდამავალი წითელი დროშა აქვს მიკუთვნებული, აზერბაიჯანის სსრ აღდგომის რაიონის კოლმეურნეთა მიმართვის საფუძველზე იკისრეს 1 ნოემბრამდე აიღონ სიმინდის, ლობიოს, სოიას მოსავალი, პირველ რიგში მოსავალი აიღონ თავდაცვის ჰექტარებიდან. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმა შეასრულონ 7 ნოემბრამდე, მეცხოველეობაში სულადობა გაადიდონ წლიურ გეგმაზე 10 სულის გადაჭარბებით, მომავალი წლის ანგარიშში სახელმწიფოს ჩააბარონ 800 კილოგრამი ხორცი, ჩაის კრეფის წლიური გეგმის გადამეტებით მოჭიფონ 10 ტონა ჩაის ფოთოლი.

სოფ. კონჭკათის კოლმეურნეობა „ახალ ცხოვრებაში“ უკვე დაიწყეს სიმინდის მოსავლის აღება. კოლმეურნეობა ნაცვლად 17 ცენტნერისა ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერ სიმინდს იღებს. ბრიგადირებმა ვ. მეგვიამ და მ. სიორიძემ იკისრეს უდანაკარგოდ აიღონ უხვი მოსავალი. ციტრუსების ბრიგადის სტახანოველებმა პელაგია ქათამაძემ, იოსელიტე მეკვიამ აიღეს ვალდებულება კიდევ უფრო გაძლიერონ მზრუნველობა ციტრუსების პლანტაციებისადმი, სანიმუშოდ გამოაზამთრონ